მიქელანჯელოს დავითი

ალბათ, არაერთი ქანდაკება გინახავს. გაიხსენე რომელიმე მათგანი. ვის გამოსახავს იგი? რა შთაბეჭდილება მოახდინა მან შენზე?



ალბათ, იცი, რომ დავითი ბიბლიური გმირია. იგი იყო ისრაელის მეორე მეფე. ჯერ კიდევ ჭაბუკმა დავითმა მარტომ დაამარცხა გოლიათი. ამით დიდი გამარჯვება მოუტანა თავის ხალხს. სწორედ მას მიუძღვნა მიქელანჯელომ ცნობილი ქანდაკება „დავითი“.

ქანდაკების სიმაღლე 5 მ-ია. მასზე მუშაობა ხელოვანმა 1501 წელს დაიწყო და 1504 წელს დაასრულა. ეს სამი წელი ავტორმა დღედაღამ მუშაობაში გაატარა. ჩაქუჩითა და საჭრეთლით ხელში ყოველ დეტალს **უკირკიტებდა**. ცნობილია, რომ ქანდაკების მასალად სხვების მიერ დაწუნებული თეთრი მარმარილო გამოიყენა. ქვას **ცხადად** ემჩნეოდა სხვა მოქანდაკეთა საჭრეთლის კვალი. არავის ეგონა, რომ მისგან რამე გამოვიდოდა.

მოქანდაკე ჯერ ღია ცის ქვეშ მუშაობდა. მაგრამ მალე მარმარილოს ლოდი ხარაჩოში ჩასვა. არ სურდა, ვინმეს ენახა, რას ქმნიდა. შედეგმა ყველა გააკვირვა. ქანდაკება ძალიან ლამაზი გამოვიდა. ჭაბუკის ძლიერი სხეული, ნაოჭიანი შუბლი და შეჭმუხნული წარბები საოცარ სიმშვიდეს ასხივებდა. ძეგლის გახსნას ქალაქის მმართველიც დაესწრო. ის აღტაცებული დარჩა „დავითის“ ნახვით. თუმცა მოქანდაკეს ერთი შენიშვნა მისცა: შენს ნამუშევარს დიდი ცხვირი აქვსო. მოქანდაკე მაშინვე ზევით აძვრა და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ცხვირს ზედმეტ ნაწილს ფხეკდა. მმართველი კმაყოფილი დარჩა „შედეგით“. რა იცოდა, რომ მოქანდაკეს არაფერი შეუცვლია, მხოლოდ ხელები დაიფერთხა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ეს ქანდაკება დღემდე რჩება იტალიის სიამაყედ. მის სანახავად უამრავი ტურისტი ჩადის ქალაქ ფლორენციაში.

რით არის დავითის ქანდაკება გამორჩეული?

კომპონენტი: იდეა, დეტალები, დონე: 3.2

LIVEWORKSHEETS

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რა არის ტექსტის ძირითადი აზრი?

ა) ბიბლიური დავითის ძეგლი მიქელანჯელომ შექმნა.

ბ) ოსტატმა „დავითის“ შესაქმნელად თეთრი მარმარილო გამოიყენა.

გ) ჭაბუკმა დავითმა მარტომ შეძლო გოლიათის დამარცხება.

2 ტექსტის ძირითად აზრს აზუსტებს შემდეგი დეტალი:

ა) არავის ეგონა, თუ დაწუნებული ქვისგან რამე გამოვიდოდა.

ბ) დავითმა დიდი გამარჯვება მოუტანა ისრაელ ხალხს.

გ) მიქელანჯელომ ქანდაკების შექმნას სამი წელი მოანდომა.

3 მიქელანჯელომ მარმარილოს ლოდი ხარაჩოში ჩასვა, რადგან:

ა) არ სურდა ვინმეს დაენახა სხვების დაწუნებული მარმარილო.

ბ) არ სურდა ვინმეს თვალი ედევნებინა მისი მუშაობისთვის.

გ) არ სურდა ქალაქის მმართველს მისთვის შენიშვნა მიეცა.

4 მიქელანჯელოს რა თვისება ჩანს მესამე აბზაცში მოთხრობილი ამბიდან?

ა) მოქანდაკის თავმოყვარეობა.

ბ) მოქანდაკის მოხერხებულობა.

გ) მოქანდაკის შრომისმოყვარეობა.

5 რომელი დეტალი *არ ჩანს* ტექსტში?

ა) რა ზომის არის დავითის ქანდაკება.

ბ) რატომ დაიწუნეს ლოდი მოქანდაკეებმა.

გ) სად დგას დღეს დავითის ქანდაკება.

LIVEWORKSHEETS

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ქვას **ცხადად** ემჩნეოდა საჭრეთლის კვალი.

   ა) აშკარად. ბ) ზოგან. გ) ოდნავ.

2. შედეგმა ყველა **გააკვირვა**.

   ა) გააოცა. ბ) დააფიქრა. ბ) მოხიბლა.

2 როგორ იტყვი ერთი სიტყვით?

დიდხანს ცდილობდა რაღაცის გაკეთებას, ანუ:

ა) ოცნებობდა. ბ) უკირკიტებდა. გ) ფიქრობდა.

3 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) ბუმბერაზი. ბ) გოლიათი. გ) გულადი. დ) ვეებერთელა.

4 ხაზებით დააკავშირე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები.

საჭრეთელი	ნაწილი
დეტალი	ახალგაზრდა
ჭაბუკი	სატეხი

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. ქანდაკება *(საოცარი)* ---------- სიმშვიდეს ასხივებდა.
2. მოქანდაკე *(საჭრეთელი)* ---------- მუშაობდა.
3. ოსტატი *(არაფერი)* ---------- შეცვლას არ აპირებდა.

2 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: სილამაზე (რა?) – ლამაზი (როგორი?).

1. სიმშვიდე – ---------- .
2. სიამაყე – ----------

LIVEWORKSHEETS

გრამატიკა

3 რომელია შეცდომა?

ა) ალბათ. ბ) ზევით. გ) ცხადათ.

4 სწორად შეაჩიე გამოტოვებული სიტყვა.

დავითმა დიდი გამარჯვება მოუტანა ---------- ხალხს. *(თავის/ მის)*

5 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

	[X] *ბევრი დრო.*	[ ] *დიდი დრო.*
1.	[ ] ქალაქის მართველი.	[ ] ქალაქის მმართველი.
2.	[ ] შენ ნამუშევარს.	[ ] შენს ნამუშევარს.
3.	[ ] მხოლოთ.	[ ] მხოლოდ.

წერა

1 ტექსტის მიხედვით აღწერე დავითის ქანდაკება.

---

2 აღწერე შენ მიერ ნანახი ერთ-ერთი ძეგლი. ისაუბრე: ვისი ძეგლია, რა იცი ამ პიროვნების შესახებ, სად დგას, როგორ გამოიყურება, ვინ არის ავტორი და ა.შ. **გააფორმე შენი ნაწერი ნახატით.**

LIVEWORKSHEETS